ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2408334

ნომერი: AR1369613

თარიღი : 11.01.2016

გაცემის თარიღი : 29.01.2016

გაცნობის თარიღი : 01.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 24გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ილია დავითაია პ/ნ 01017006963
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 30/7

ორგანიზაცია:
- იმა ყაზბეგი 24 კოდი: 205211199

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა რეკონსტრუქცია
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული ჩილერების ლითონის კონსტრუქციის თუნუქის ფურცლებით გადახურვის და გამწოვი მილის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზირი №24გ-ში, ამხანაგობის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში მდებარე არსებული ჩილერების ლითონის კონსტრუქციის თუნუქის ფურცლებით გადახურვას და გამწოვი მილის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი №01.14.03.040.081.01.01.025, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზირი №24გ-ში, ამხანაგობის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში მდებარე არსებული ჩილერების ლითონის კონსტრუქციის თუნუქის ფურცლებით გადახურვის და გამწოვი მილის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ უზრუნველყოფილი უნდა იქნას გამწოვი მილის კონსტრუქციული მდგრადობა. ასევე გადახურვა მოეწყოს ისე, რომ არ დაზიანდეს მიწის ნაკვეთზე არსებული ხე–ნარგავები და არ დაირღვეს მათი სასიცოცხლო ფუნქცია.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.